




მოქმედნი პირნი:

კრეონი - მეფე თებესი;
ევრიდიკე - მისი ცოლი;
ჰემონი - მათი ვაჟი;
ანტიგონე, ისმენე - ოიდიპოს მეფის ასულნი;
ტირესი - ბრმა მისანი;
მაცნე;
დარაჯი;
თებეს უხუცესთა ქორო;
კორიფე;
სასახლის მცველნი, მსახურნი და მხევალნი.

პროლოგი

ანტიგონე

ნუთუ ვერ ხედავ, საყვარელო დაო ისმენე,
რომ თავის რისხვას, ცოდვათათვის ოიდიპოსის,
სანამ ჩვენ ვცოცხლობთ, არ მოგვაკლებს უფალი ზევსი...
აბა, რა წუხილს იტყვის ენა, რა ავბედობას,
აუგს და ვაგლახს, თუ დამცრობას ჩვენი ღირსების,
რაც ჩვენ შემზარეულ ობლობაში არ განგვეცადოს?!
თქვი, ახლა კიდევ რას ამბობენ? მეფე კრეონმა,
კანონი რაღაც დაუდგინა მთელ ქალაქსაო...
იქნებ არც გითხრეს... არ გვიმხელენ იმ სამაგლობას,
რასაც ფარულად ჩვენს ძვირფას მმას განუმზადებენ.

ისმენე

ოჰ, არა, დაო ანტიგონე, ჯერ არაფერიც
 არა მსმენია საკეთილო და საწუხარი,
 საბედისწერო იმ დღის მერმე, რაც ძმანი ჩვენნი,
 ერთად დაეცნენ განგმირულნი ერთურთის ხელით.
 მხოლოდ გავიგე, რომ თებედან არგოსელთ ჯარი
 განდევნეს წუხელ, სხვა კი, დაო, რა უნდა იყოს,
 რაც მოხდა, მასზე საშინელი ან საწუხარი!

ანტიგონე

ვიცი, ვერაფერს შეიტყობდი. მეც სასახლიდან
 იმიტომ გიხმე, რათა გამცნო ეს საიდუმლო.

ისმენე

მაინც რა მოხდა? დაო, რაღაც შენ ისე გზარავს.

ანტიგონე

დიახაც მზარავს. გამიგონე, მეფე კრეონმა
 ჩვენს ორ ძმათაგან - ერთილა სცნო დაკრძალვის ღირსად,
 ხოლო მეორეს ეს პატივი აჰყარა სრულად.
 წესთამებრ მიწას მიაბარა მან ეთეოკლე,
 არ დაუკლია ზარ-ზეიმი შესაფერისი,
 და ამით ღირს ქმნა, იყოს იგი მკვიდრი ჰადესის...
 მაშინ, როდესაც გვამი ბედკრულ პოლინიკესი,
 აგრე ბედიტად დაღუპულის, ნაბრძანები აქვს, -
 არა თუ ვინმემ დაიტყოს, ანუ დაკრძალოს,
 არამედ უნდა ღია ცისქვეშ ეგდოს საბრალო

ზედ მისეული ყვავ-ყორნების სანუკვარ დავლად.
 როგორც ამბობენ, ჩვენც გვიბრძანებს სათნო კრეონი,
 დიახ, შენც და მეც, მორჩილ ვექმნეთ მის მეფურ ნებას.
 მაღე აქ თვითონ მობრძანდება, რომ უფრო ნათლად,
 ვინც ეს არ ვიცით, ყოველივე გვაუწყოს, რადგან
 თავის ბრძანებას დიდ ამბად თვლის, ხოლო თუ ვინმე
 ურჩობას გასწევს, ხალხის თვალწინ ჩაიქოლება.
 აქ გამოჩნდება, დაო, შენი დიდსულოვნება,
 ვინც ხარ - უღირსი თუ ღირსეულთ შთამომავალი...

ისმენე

საბრალო დაო, მე რა ძალმიძს, ავად თუ კარგად,
 რით დაგეხმარო?

ანტიგონე

მსურს ვიცოდე, იქნები ჩემთან?

ისმენე

თქვი, რა საქმისთვის... ჯერ გავიგო, რა განიზრახე...

ანტიგონე

დამეხმარები? მსურს მივხედო პოლინიკეს გვამს.

ისმენე

დამარხვას ფიქრობ? რაც საქვეყნოდ აკრძალა მეფემ...

ანტიგონე

მაშ უარს ამბობ? კარგი. ჩვენს ვალს მარტოც მოვიხდი.

ისმენე

მეფის ბრძანების წინააღმდეგ? გაგიჟდი განა!

ანტიგონე

მე რაც მეკუთვნის, ვერ წამართმევს უზენაესიც.

ისმენე

ვაიმე, დაო... გაიხსენე მამამ ბედკრულმა,
როცა თვითონვე ცხადჰყო თავის შეცოდებანი
და ორივ თვალი თავის ხელით აღმოიკვეთა,
რარიგ განდევნილ-განკიცხულმა დალია სული...
მამის დედამაც, მასთან ცოლიც რომ იყო მისი,
თოკზე სიცოცხლე დაასრულა რა სამარცხვინოდ.
მესამეც - ძმებმა ეთეოკლემ და პოლინიკემ
როგორ განგმირეს იმ ავბედით დღეს ერთმანეთი
და ერთნაირი განუშადადეს ერთმანეთს ხვედრი.
ეხლა იფიქრე, ჩვენ, უმწეოდ, ოზლად შთენილნი,
რარიგ უღირსად, უპატიოდ დავიღუპებით,
თუ ქვეყნის კანონს და ხელმწიფის ნებას გადავალთ.
ისიც გახსოვდეს, რომ ჩვენ გავჩნდით დედაკაცებად
და რადგან ქალი კაცს ღონით ვერ შეეწონება,
უთუოდ გვმართებს მორჩილება ჩვენზე ძლიერთა,
დავყვეთ მათ წადილს, თუნდ ამაზედ უფრო შემზარველს.
მაგრამ თუ ვინმე ძალას მატანს სხვაგვარ მოვიქცე,

ჰადესის ღმერთებს ვთხოვ შეწვენას... მე უზენაესთ
ძალას ვმორჩილებ. ამაოა ზრახვა ყოველი,
რომლის ხორცშესხმაც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება.

ანტიგონე

არ გაიძულებ. ამ საქმისა თუნდ იყო მწადე,
ველარ მამებ და შველასაც არ ვსაჭიროებ.
დე, შენთვის იყავ... მე კი ჩემს ძმას ერთიც დავმარხავ.
და თუ დამსჯიან, სიკვდილს ჩავთვლი დიდ ნეტარებად
მას მე ვუყვარდი და მსურს ვიყო ძვირფასის გვერდით,
მომიწევს სულთა სამსახური უფრო ხანიერ,
ვიდრე აქ მყოფთა, იქ დავრჩები სამარადისოდ.
შენ კი აქ იყავ; საღვთო წესთა უარმყოფელი.

ისმენე

უკვდავთა წესებს არ უარვყოფ, მაგრამ ვერც მოკვდავთ
ნებას გადავალ.

ანტიგონე

ღმერთების წინ იმართლე თავი...
წავალ ძმას მიწა დავაყარო...

ისმენე

ვაი ბედკრულო!
ო, როგორ ვშიშობ!

ანტიგონე

ჩემთვის ნუ კრთი, შენთვის იზრუნე.

ისმენე

ოღონდ უფროთხილდი, არსად დაგცდეს ეს საიდუმლო...
მეც დავდუმდები...

ანტიგონე

განაცხადე, აუწყე ყველას,
ამით თავს ნაკლებ შემაძულებ, ვიდრე დუმილით.

ისმენე

ზრახვაა სისხლის გამყინველი, შენ კი ცეცხლს გინთებს.

ანტიგონე

მიტომ რომ ვიღწვი ღირსეულთა პატივსაცემად.

ისმენე

ეს ამაოა, შეუძლებელს ესწრაფვი, დაო.

ანტიგონე

იმას ხომ შევძლებ, კეთილ ზრახვას რომ შევეწირო?

ისმენე

მაგრამ ამაო თავდადება ვის რად სჭირდება!

ანტიგონე

კმარა, დაჩუმიდი! ამგვარ სიტყვით თავს შემაზიზღებ...
და მართებულად გამოიწვევ მკვდრის სიძულვილსაც.
წადი დამტოვე. დაე, ჩემმა უგუნურებამ
შემიმსუბუქოს სატანჯველი. ყოველთ უმეტეს
შემზარველია, თუ მოკვდავი კვდება უღირსად.

ისმენე

რადგან არ იშლი, წადი, დაო. გიჟი ხარ, მაგრამ,
გიჟიც ჩემი ხარ, კვლავ სისხლ-ხორცი და საყვარელი.
(მიდის)

ქორო

სტროფი ა

მზეო, მზეო, ჯერ ასეთი ელვარებით
არ სწვევიხარ შვიდკარიან ქალაქ თებეს.
როგორც იქნა დირკეს მჩქეფარ წყალთა ზედა,
აღმობრწყინდი, ო, დღის თვალო ოქროვანო!
შენ გაჰფანტე ტანს იარაღ-აღკაზმული,
ჯარი იგი თეთრფარიან არგოსელთა,
ჩვენს მიწაზე შურითა და მტრობით აღძრულთ,
დასაპყრობად რომ მოუძღვა პოლინიკე!

ანტისტროფი ა

გრძელ შუბებით გარს მოგვადგა ყოველ მხრიდან

შვიდკარიან თებეს აღგვის მოწადინე,
და გაბრუნდა, ჩვენი სისხლით ვიდრე ხახას
ალივებდა და ჰეფესტოს ცეცხლს მისცემდა
ციხე-კოშკებს, რადგან ზურგით შემოესმა
ხმა არესის, მჭექარობით შემზარველი.
დაუმძიმდა მას ვეშაპთან ბრძოლა მაშინ...
ზევს მაღალსა სმაგს ზვიადნი, და რომ ნახა,
თებეს მომდგარ სპათა შმაგი მდინარება,
იმ თავხედებს სტყორცნა მეხი სწორედ იმ დროს,
როცა მიჯნას მიწვენილნი განემზადნენ,
ჩვენს კოშკთაგან გადემახნათ გამარჯვება.

სტროფი ბ.

ცოტა ხნის წინ ვისაც ეპყრა ჩირაღდანი,
ვინც ბახუსის შეგონებით აღზნებული,
ბოროტულ გრიგალივით მძვინვარებდა,
ძირს ზღართანით დაცემულმა შესძრა მიწა.
აქ რომ იგი ქვე დაემხო, ყოვლისშემძლე
ომის ღმერთმა სხვებსაც უზლა ხვედრი თვისი,
შვიდსავე კართან ქალაქისა სწორი-სწორად,
სარდალს შვიდსა დახვდა შვიდი სპასალარი,
სადაც დავლად ზევსს ბოროტის უკუმქცეველს
დაუტოვეს მათ სპილენძის საჭურველნი
და გაიქცნენ... მხოლოდ დარჩნენ ორად ორნი,
შვილნი ერთი დედ-მამისა ბრძოლის ველზე,
ბარი-ბარად ერთ სიკვდილს რომ ეზიარნენ,

მახვილებით ერთმანეთის განმგმირველნი.

ანტიტროფი ბ.

ეხლა, როცა ეტლებიან ქალაქ თებეს
თავს ღიმილით დასცქერს ნიკე დიდებული,
დაე, ხალხნო, ბრძოლა ესე სისხლის მღვრელი
დავივიწყოთ და ღმერთების ტაძრებისკენ
გავეშუროთ ცეკვითა და სიმღერებით.
დე, ბახუსი წინ გვიძოდეს მოლხინარი
და მხიარულ როკვით თებე აზანზაროს.
მაგრამ აი კრეონი, ძე მენეოკის,
ღმერთთა მიერ აქ მომხდარი ამბის შემდეგ,
მეყვსეულად ჩვენს ქალაქს რომ ეხელმწიფა,
ჩვენსკენ მოდის... ნეტავ რა აქვს მეფეს ზრახვად,
სათითოდ აქ რომ გვიხმო მაცნეს პირით
და შეკრება ბრძანა თებეს უხუცესთა?

კრეონი (შემოდის)

მოქალაქენო! თუ ღმერთებმა სამეფო ჩვენი
შეაზანზარეს, კვლავ მომადლეს თებეს მშვიდობა.
მაცნენი მრავლად დავაგზავნე და ჩემთან გიხმეთ,
მხოლოდ რჩეულნი, ლაიოსის ერთგულნი ყმანო!
ვიცი, რაოდენ პატივს სცემდით მის ტახტსა მაღალს,
აგრევ ქალაქის აღმადგენელ ოიდიპოსსაც,
და როცა იგი დაილუპა, იმის შვილებსაც,

თქვენ მსახურებით იმავ გრძნობით მეერთგულენი.
 ხოლო როდესაც ნებით სასტიკ ბედისწერისა,
 ერთად დაეცნენ იგი ვაჟნი ოიდიპოსის,
 ერთ და იმავ დროს განგმირულნი ერთურთის ხელით,
 როგორც დაღუპულთ ნათესავმა უახლოესმა,
 ჩემად დავიპყარ თებეს ტახტი და ხელმწიფება.
 მაგრამ ძნელია ჩასწვდე კაცის სულსა და ზრახვას,
 თუ იგი თვითონ ხელმწიფების მაღალ ტახტიდან
 სიბრძნით, სჯულდებით თვის ბუნებას არ გამოაჩენს.
 მეფე, რომელიც ბრძენთა რჩევას არა თუ ისმენს,
 არამედ თითქოს ყოვლისადმი ყრუა, მდუმარი,
 აწ და მარადის უღირსია ხელმწიფობისა.
 არარა არის იგი მეფე, ვისაც მოყვასნი
 მიუჩნევია სამშობლოზე უპირატესად.
 ხოლო მე, ზევსმა დე იცოდეს ყოვლის მხილველმა,
 არ დავდუმდები თუ შევიცნობ, რომ ჩემს ქვეშევრდომთ,
 ნაცვლად მშვიდობის, ელის ჭირი და განსაცდელი.
 არც არასოდეს მოსისხლე მტერს მშობელი ქვეყნის
 არ ვუმეგობრებ, რადგან მჯერა, რომ სამშობლოა
 ყოველი მისი მოქალაქის საყრდენი მტკიცე
 და თუ ხომალდი სწორი გეზით წარიმართება,
 მაშინ ჭეშმარიტ მეგობრებსაც ვიშოვით მრავლად.
 ამგვარ წესებით ჩემი ქვეყნის მსურს განდიდება.
 ეხლა კი დროა, იმ ორ ვაჟზე ოიდიპოსის,
 ბრძანება ესე განგიცხადოთ თებეს მცხოვრებნო:
 გმირ ეთეოკლეს, ვინც თებესთვის თავგანწირული
 მტერს შეერკინა უმჯობესად სხვათა ყოველთა

და განიგმირა, ღირსეული დავდეთ პატივი,
 დავმარხეთ იგი დიდგვაროვანთ შესაფერისად.
 ხოლო ძმა მისი, ვლაპარაკობ პოლინიკეზე,
 ვინც განდევნილი შემოიქცა მხოლოდ იმ ზრახვით,
 რათა დაემხო თვის პაპათა სამკვიდრებელი,
 ფერფლად ექცია თებეს ღმერთნი და ძმათა თვისთა
 სისხლით გულდამტკბარს, ტყვე მონებად წაესხა ხალხი,
 მისმინეთ ყველამ, ვბრძანებ, არვინ არ დაიტყუოს...
 თებეს მიწაში ნურც ყოფილა დამარხვის ღირსი.
 დე უპატიოდ ეგდოს ველზე გვამი შიშველი,
 ყვავ-ყორნებისა და ძაღლების თავშესაქცევად.
 ესაა ჩვენი განჩინება... დაიმახსოვრეთ,
 რომ ყოველ გამცემს საზღაურად ეს მიეგების,
 ხოლო თებესთვის სიკეთის მქმნელთ დიდ პატივს დავდებთ,
 ეს სულ ერთია ცოცხალია იგი თუ მკვდარი.

ქორო

დე ეგრე იყოს, როგორც ბრძანე, მენეოკის ძევ!
 რადგან სჯულდება შენს ხელთაა, შენ როგორც მეფეს,
 ძალგიძს, რაც გნებავს დაუდგინო მტერსა თუ მოყვასს
 და ეს კანონი მიუყენო ცოცხალს თუ მკვდარსა.

კრეონი

მაშ ამ ბრძანების აღსრულებას ადევნეთ თვალი.

ქორო

ეს ჩვენზე უმცროსთ დაავალეთ.

კრეონი

ამის მსურველნი

ბევრნი არიან. მცველნი უკვე გვამს დარაჯობენ,

ქორო

სხვას რას გვიბრძანებ?

კრეონი

არ დაინდოთ ბრძანების ურჩნი.

ქორო

ვინ ბრიყვი არის, რომ ტყუილად გასწიროს თავი!

კრეონი

დიახ, ურჩს ელის მოკვდინება, მაგრამ ხანდახან
ზოგს ანგარება გონს უბნელებს და ღუპავს კიდეც.

დარაჯი (შემოდის)

ჩვენო მეფეო, ვერ ვიცრუებ, თითქოს და აქეთ
სულმოუთქმელად, სიხარულით მოვისწრაფვოდი.
რამდეჯერ ფიქრმა შემაყოვნა გზად მომავალი,
რამდენჯერ მწადდა ისევ უკან მივქცეულიყავ!
რადგან ერთთავად თითქოს ვიღაც ჩამჭურჩულებდა:
- ჰოი, საბრალოვ, შენსავ სიკვდილს რად ესწრაფვიო?
ხანაც მეტყოდა: - ამ უწყებით მეფე კრეონთან
სხვამ თუ მიგასწრო, ვერ აიცდენ სასტიკ სასჯელსო.
ამგვარად ვბჭობდი და ვიდოდი ფეხათრეული

ხოლო აგეთ სვლით უმოკლესი გზაც გაგრძელებდა.

ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე გეახლო, მეფეო,
და სწორი გითხრა, თუმც საამოს ვერრას გაუწყებ,
აქ მხოლოდ ერთი მაიმედებს, რაც თვით განგებით
არ მიწერია, ისეთი რამ არც გადამხდება.

კრეონი

მაინც რა მოხდა? თქვი, ესოდენ რამ შეგაშფოთა...

დარაჯი

ჯერ, ხელმწიფეო, ჩემზე გეტყვი, მე უბრალო ვარ...
თვალიც ვერ მოვკარ ბოროტმოქმედს და, რა თქმა უნდა,
აქ ჩემი დასჯა იქნებოდა უმართებულო.

კრეონი

ისე შორიდან იწყებ სათქმელს, თან ისე ფრთხილად,
ვფიქრობ გვაუწყებ რაღაც ახალს და გასაოცარს.

დარაჯი

მაგრამ მოამბეს თავგზას უბნევს საქმე საზარი.

კრეონი

ბოლოს და ბოლოს, თქვი რაც მოხდა და გაეთრიე!

დარაჯი

ეხლავ, მეფეო, ცოტა ხნის წინ იმ ვაჟის გვამი
ვიღაც უჩინარს დაუკრძალავს ადათისამებრ,

ზედ მშრალი ქვიშა მოუყრია და გაპარულა.

კრეონი

ბრიყვო, რას ამბობ? ძე კაცისა ვინ გაზედავდა?

დარაჯი

აბა რა ვიცი. ვერსად ვნახეთ ვერც ბარის კვალი და ვერც წერაქვის მონათხარი... იქ მიწის პირი მშრალია, სწორი, ურმის თვლებით დაუღარავი. არ დარჩენია ამის მოქმედს ნიშანი რამე. რა ეს ამბავი დღის პირველმა დარაჯმა გვამცნო, ყველას გვეუფლა გაოცება სასოწარმკვეთი. გვამი არ ჩანდა, თუმც დაფლულიც არ იყო ღრმად, ფხვიერი ქვიშით დაეფარა სახსნელად სულის, ბევრი ვეძიეთ, მაგრამ კვალი მხეცის თუ ძაღლის, არც მიწას აჩნდა და არც ცხედარს არავითარი. მერმე მივდექით ერთმანეთსა უხამს გინებით, დარაჯი დარაჯს სდებდა ბრალსა და ცოტა გვიკლდა საჩხუბრად ხელის გამოღებას... მაშინ ჩვენს შორის, ვინ ჩადგებოდა გამშველებლად, როცა თვითეულს და ყველას ერთად ერთ საქმეში გვიძლოდა ბრალი?.. თუმცაღა ერთხმად ეუარყოფდით ჩვენს შეცოდებას და მზად ვიყავით დაგვეფიცა ცა-მიწის ღმერთნი, ცეცხლში გაგვევლო, ხელთ აგველო რკინა მხურვალი, დასამტკიცებლად, რომ მქნელი თუ ჩამგონებული ამა საქმისა არც გვინახავს და არცა ვუწყით. ბოლოს, როდესაც ეს ყოველი ვცანით ამაოდ,

ჩვენთაგან ერთმა წამოიწყო და ჩვენც ვუსმენდით შიშით მიწამდე დადრეკილნი, არც გვექონდა ღონე შესიტყვებისა, არცა რამით იმედოვნების. იგი გვირჩევდა, რომ ეს გვეთქვა შენთვის გულახდით, თავით ბოლომდე, არაფერი არ დაგვემალა. ამ აზრმა სძლია და ჰა, მეფევ, შენს წინ ვარ ეხლა. რადგან წილად მხვდა ბედუკუდმართს ეს მწარე ხვედრი, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, შენს შემაშფოთრად. ეხ, ვის აამებს ცუდი ამბის მაუწყებელი!

ქორო

მეფევ, ერთს ვფიქრობ, ეს ღმერთების საქმეა ალბათ.

კრეონი

ჩუმიდ მოხუცო, აბდაუბდით არ განმარისხო! ჩანს უგნურებას შეუპყრიხარ, სიბერის სნებას, თორემ ვინ გიჟი წარმოიდგენს, რომ მაღალ ღმერთებს შეაღონებდათ ბედი გამცემ პოლინიკესი?.. და ისე, როგორც ეს შეშვენის კეთილის მოქმედს, მას დამარხავდნენ, ნიშნად დიდი პატივისცემის, ვინც აქ მოსულა, რომ ცეცხლისთვის მიეცა უღვთოდ მათი ტაძარნი ძვირფას საწირ-განძეულობით, და თებე, მათი სამფარველო სისხლით მოერწყა?... ან როდის იყო, ბოროტმოქმედს სწყალობდნენ ღმერთნი?! არა, არასდროს! ის კი ვიცი, ჩემი ბრძანების გაცემისთანვე ზოგ-ზოგები დრტვინავდნენ მალულ, უკმაყოფილოდ თავს იქნევდნენ, ჩანს ეუცხოვათ

თავის დადრეკა ჩემს წინ, როგორც მეფის წინ მართებთ.
 ცხადია, იმათ მოისყიდეს ეს დარაჯები
 და აი რა ქმნეს. კარგად ვიცნობ ბუნებას კაცთა:
 ოო, მათთვის ვერცხლზე მავნებელი არა არის რა!
 იგი ქალაქებს აღგვის ფუძე-ბალავრიანად,
 თავის სახლიდან განაძეგებს კაცს ანგარება,
 უმანკო სულსაც რომ აღავსებს ბიწიერებით,
 ყოვლად სარცხვინელ ვნებათა და აზრთა აღმძვრელი
 და წარმართველი გზით საშინელ ბოროტებისა.
 მაგრამ ვინც ეს ქმნა, ანგარებით ვინც მოსყიდულა,
 ადრე თუ გვიან მას მიეზღოს შესაფერისად...
 და თუ ჯერ ძალმიძს მაღალ ზევსის პატივისცემა,
 დაიმახსოვრეთ, ფიცით ვამბობ ხელმწიფე თქვენნი:
 თუ მკვდრის დამმარხველს არ იპოვნით დაუხანებლივ
 და მე არ მომგვრით, არ გაკმარებთ სიკვდილს მარტოდენ.
 ცოცხლად დაგვიდებთ, ვიდრე მართალს არ აღმოიტყვით.
 მაშინ გაიგებთ, ვერცხლი ვის ხელს გამოერთმევა...
 რომ სიგიჟეა ყველაფერში ეძებდე სარფას,
 რადგან სარგებლით ყველაფერი არ იყიდება:
 ხოლო საძრახველ გზით ნაშოვარ სიმდიდრეს ყოველს
 მოსდევს ზარალი, თვით სიკვდილზე უსაზარლესი.

დარაჯი

მეფევ, გავბრუნდე, თუ კვლავ გნებავთ ვილაპარაკო?

კრეონი

ნუთ ვერ ხედავ, მზარავს შენი ხმის გაგონებაც...

დარაჯი

შენს ყურთასმენას ზარავს იგი თუ გულსაც მეფევ?

კრეონი

შენ რა საქმე გაქვს, თუ სად ბუდობს ტკივილი ჩემი?

დარაჯი

ბოროტმოქმედი გულსა ზარავს, მე - ყურთასმენას.

კრეონი

ყბედი ყოფილხარ.

დარაჯი

სხვა არა მაქვს დანაშაული.

კრეონი

გაქვს, ვერცხლში სულის გამყიდველო...

დარაჯი

ჰოი, რაოდენ,
 საშინელია, თუ მსაჯული ურჯულოდ მსჯელობს!

კრეონი

ეხლა მსაჯულზე მოჰყვა ლაქლაქს... გვამის დამმარხველს
 თუ არ შეიპყრობთ და არ მომგვრით დაუყოვნებლივ,
 მაშინ გაიგებთ, რა ფასიც აქვს ბილწ ანგარებას.

დარაჯი

ნეტავი მართლა ვიპოვნიდე. ვპოვებ თუ არა,
 ამას ჩემივე ბედისწერა გადაწყვეტს ალბათ.
 რადგან დღეს თავი მთელი შემრჩა, რაც არ მჯეროდა,
 აქ ფეხის დამდგმელს ველარ მნახავთ ამიერიდან.
 გადარჩენისთვის უკვდავ ღმერთებს დიდი მადლობა.
 (მიდის)

ქორო

სტროფი ა

თუმცა ბევრზე ბევრი არის
 ცა და მიწის საოცრება,
 ძე კაცისა ქმნილებაა
 სასწაულზეც საოცარი.
 აღქაფებულ ტალღებს შორის
 გზას მიიკვლევს ჟამთა ღელვის,
 ხოლო გეას, უკვდავ ქალღმერთს,
 ცხენზე მოზმულ გუთნის პირით,
 გვემს და ჯიჯგნის წლიდან წლამდე.

ანტისტროფი ა

იგი ნაქსოვ თოკის ბადით,
 ცაში იჭერს ფიქრებივით
 მსუბუქ ფრინველთ, ზღვაში - თევზებს,
 უღრან ტყეში - ჯოგს ნადირთა...

ხოლო მერმე განძვინებულ
 ცხენებს, მოსილს სქელი ჯაგრით,
 თუ მთის კუროს გაუხედნავს,
 უღელს ადგამს გამჭრიახი.

სტროფი ბ

თვით ისწავლა მეტყველება,
 აზროვნება ქარზე სწრაფი
 და საქვეყნო ადათ-წესი...
 ყინვის გამჭოლ ისრებისგან,
 თუ წამლეკავ დელგმისაგან,
 თავს რომ იცავს საზრიანი.
 ო, მძლავრია ყოვლის მიმართ,
 თვით უმძიმეს სნებათაგან
 განკურნების შემძლებელი.
 მაგრამ სიკვდილს, მხოლოდ სიკვდილს,
 ვერ გაექცა ვერასოდეს.

ანტისტროფი ბ

თუმც ბრძენია იგი მეტად,
 თავის ნიჭს და ხელოვნებას
 ხან წარმართავს საკეთილოდ,
 ხან ბოროტის სამეფოდ.
 ამქვეყნიურს ქმნის სამართალს
 და ღმერთების იცავს კანონს.

მაგრამ მეფეც ყოვლის შემძლე
 თუ გზას გაჰყვა ბოროტების,
 დაე ნურვინ ნუ იქნება
 მისი აზრის, სწრაფვის, გრძნობის
 ან თუ კერის მოზიარე...

კორიფე

ჰოი, ღმერთნო. ცხადია თუ მეჩვენება!
 შფოთს და ღელვას ვეღარ იტევს ჩემი გული
 თვალნო რად არ მიბრმავდებით... ნათლად ვხედავ,
 ჩვენსკენ მოჰყავთ თვით ქალწული ანტიგონე
 ოჰ, ასულო შავდღიანო!
 ჰოი, ბედკრულ ოიდიპოს მეფის შვილო!
 დღეს აგეთი რა შეგემთხვა? ნუთუ შენ ხარ
 ვინც გასთელე ჩვენი მეფის განჩინება,
 და შეგიპყრეს ჟამს სიგიჟის ჩადენისა?

დარაჯი

აი, მოგგვარეთ დამნაშავეც, ეს იყო თურმე.
 მკვდრის დამარხვისას შევიპყარი. სად არის მეფე?

ქორო

აგერ თვითონაც... სასახლიდან დროულად მოდის.

კრეონი

რატომ დროულად, თქვით, რა მოხდა?

დარაჯი

ჩვენო მეფეო,
 სჯობს თავი ფიცით არ შეიკრას მოკვდავმა, რადგან
 ბოლოს ნაფიქრი აბათილებს ნააზრევს წინათ.
 აქ შენმა რისხვამ წელან ისე დამცა თავზარი
 რომ ფიცით დავთქვი, არც გამეველო ამ არე-მარეს.
 მაგრამ იმდენად აღიტაცებს კაცს სიხარული,
 რამდენად იგი უცხოა და ანაზდეული.
 ჰოდა გავტეხე ჩემი ფიცი და კვლავ გეახელ...
 მოგგვარე ესეც, არ გვიყრია წილი ამ ჯერად,
 რადგან ეს ჩემი დავლა გახლავთ, ჩემგან პყრობილი.
 გთხოვ ჩაიბარო, შენს ხელთაა აწ დამნაშავე.
 დაე დასაჯე, როგორც გნებავს, მე კი გამიშვი...
 ჩემმა სიმართლემ დამხსნა სასჯელს უმართებულოს

კრეონი

მოგვიყვანია. მაგრამ როგორ, სად დააკავე?

დარაჯი

მაშინ, როდესაც გვამს მარხავდა, ხომ მოგახსენეთ.

კრეონი

გესმის რას ამბობ? მაინც ამას, რით დაამტკიცებ?

დარაჯი

სწორედ ეს ვნახე, წინააღმდეგ შენი ბრძანების,
 წესს უსრულებდა. უფრო ნათლად როგორღა გითხრა?

კრეონი

აბა კიდევ თქვი, სად წააწყდი, როგორ შეიპყარ?

დარაჯი

გეტყვი როგორაც, - როცა მივედ კვლავ სადარაჯოდ,
ზარდაცემული შენი რისხვის საშინელებით,
გვამს გადავგავეთ ზედ მოყრილი ქვიშა ფხვიერი
და რომ დავტოვეთ იგი შიშვლად, ხრწნაშეხწეული,
იქვე დავსხედით მაღალ ბორცვზე ქარისკენ ზურგით,
რათა ხრწნის სუნი არ გვცემოდა. ვისხედით ჩუმად.
სიტყვით ერთმანეთს ვამხნევებდით, ხოლო თუ ვინმე
წამით ჩათვლემდა, მუჯლუგუნით კვლავ ვაფხიზლებდით.
დრო მიდიოდა მშვიდად, წყნარად, ვიდრე ციმციმით
შუა ლაჟვარდზე არ აცურდა მზე სხივოსანი
და სიცხის ბული არ ჩამოწვა. მერმე უეცრად,
წყრომად ზეცისა ამოვარდა გრიგალი მძაფრი,
ქვიშა ჰაერში აიტაცა, ხეებს ფოთოლნი
შემოაფლითა, გადასილა მტვრით მინდორ-ველი
და ყველაფერი დააბნელა, ჩვენც ღმერთთა რისხვას
თვალდახუჭულნი ძლივს ვუძლებდით. დასასრულ, როცა
გრიგალი დაცხრა, ამ ქალს ვხედავთ, სასომიხდილი
გმინავდა მწარედ იმ ბედდამწვარ ფრინველის მსგავსად,
ჩვილი ბარტყები ბუდეში რომ აღარ დაუხვდა.
მოსთქვამდა იგი, პირს იხოკდა განცეცხლებული,
განშიშვლებული პოლინიკეს გვამის მხილველი,
ამ საქმის ჩამდენთ წყევლა-კრულვას რომ უგზავნიდა.
შემდეგ გვამს პეშვით მშრალი ქვიშა მიმოაფრქვია

და წესისამებრ, ზე აწეულ სპილენძის სურით
სამგზის აპკურა სასოებით განსაწმედელი.
რა ეს ვიხილეთ, ჩვენ მივცვივდით და შევიპყართ,
მაგრამ ოდნავაც არ შემკრთალა... ვუყვირით, ბრალს ვდებთ
მასზე რაც ვნახეთ, რომ წინათაც აგრე იქმოდა,
და მაინც სდუმდა, არაფერსაც არ უარჰყოფდა.
თუმც ეს ყოველი მახარებდა, თან სევდას მგვრიდა:
საამოვნოა თავდაწევა განსაცდელთაგან,
და საწუხარი შენს ნაცნობთა ჭირში ჩაგდება...
თუმცა ამ ქალის მწარე ხვედრი არც ისე მტანჯავს,
რადგან აქ ჩემთვის ხსნაა ამის უბედურება.

კრეონი

ჰეი, შენ, მიწას რომ ჩასცქერი, აქ შემომხედე!
თქვი ეგრე იყო, თუ უარჰყოფ?

ანტიგონე

ჰო, ეგრე იყო...
რატომ უარვყოფ!

კრეონი (დარაჯს)

შენ კი წადი, საითაც გინდა,
ესოდენ მძიმე ბრალდებისგან განთავისუფლებ.
(ანტიგონეს) თქვი, ოღონდ ბევრს კი არ მოედო, შენ ხომ იცოდი
ბრძანება ჩვენი?

ანტიგონე

ჰო, ვიცოდი... ეგ ხომ საჯაროდ
გვეუწყა ყველას...

კრეონი

იცოდ და მაინც გაბედე!

ანტიგონე

მაგრამ, მეფეო, ეს ბრძანება არც ზევსსა მაღალს
და არც ქვეყნების დიდ ღმერთებთან მცხოვრებ სამართალს
არ მოუცია მოკვდავთათვის ქმედობის წესად.
არც ის ვიცოდი დღემდე, თითქოს ბრძანება შენი
იყო იმდენად ძალოვანი, რომ მოკვდავს ყოველს
მიეცემოდა მით უფლება ხელეყო ღმერთთა
ადათ-წესები, მყარნი, თუმცა დაუწერელნი.
არა, ისინი არ შექმნილან, არც დღეს, არც გუშინ,
არამედ ჟამთა წიაღიდან მომდინარებენ.
ვერც მე შევიძელ დამერღვია ეს ადათ-წესი,
მოკვდავთა შიშით და უკვდავთა განსარისხებლად.
ბავშვმაც ვიცოდი, რომ მოკვდები ადრე თუ გვიან,
და ეს მოხდება, რომც არ იყოს ბრძანება შენი...
ხოლო სიცოცხლის მოსწრაფება წყალობად მიჩანს.
მისთვის ვინც ჩემებრ უსასრულოდ გაწამებულია,
რაღა თქმა უნდა, მოკვდინება შვებაა მხოლოდ.
მიტომ ოდნავაც არ მაღონებს ხვედრი აგეთი.
დიახ, რომ შვილი ჩემ მშობელთა არ დამემარხა,
ეს ჩემ სიკვდილზე უფრო მეტად შემაღონებდა...

და თუ შენ მაინც ქცევას ჩემსას თვლი უგზურებად,
მე გიპასუხებ, უგზურებას უგზური მწამებ.

ქორო

მეფეო, ცხადია ეს სიკერპე მამისგან მოსდგამს,
ამაყი არის, ჭირსა შიგან განუდრეკელი.

კრეონი

დაე იცოდეთ, რომ ყველაზე თავადებული
ყველაზე უმალ დადრეკს თავსა. რკინაც მაგარი,
ცეცხლში განვლილი და წრთობისგან განმტკიცებული,
ერთი შემოკვრით ილეწება ნამუსრევებად.
ულაყნი შმაგნი, მომცრო ლაგმით პირაძაგრულნი,
ყველას გინახავთ, ბოლოს რარიგ შოშმინდებიან.
ვინც სხვას მორჩილებს, არ შეშვენის მას ქედმაღლობა.
ისიც ჰყოფნიდა ამ თავგასულს დანაშაულად,
აგრე უტიფრად რომ გადვიდა ბრძანებას ჩემსას...
ეს რომ ასე ჰქმნა, ზედ დაურთო სხვა შეცოდებაც, -
ამ უტიფრობით თავმომწონე დაგვცინის კიდეც.
მაშინ მე ვიყო დედაკაცი, ეგ კიდეც მამრი,
თუ დაუსჯელად შევარჩინო ეს თავხედობა.
მერე რა ვუყოთ, რომ ჩემი დის შვილია იგი,
ჩემს სახლში ზევსის მოსავთაგან უახლოესი...
ვერც თვითონ და ვერც და მაგისი ჯეროვან სასჯელს
ვერ აიცდენენ, რა თქმა უნდა, აქ ბრალეული
იქნება იგიც... სასახლეში წუთის წინ ვნახე,
მღელვარებისგან ბორგნეული, გონ-ამღვრეული...

რადგან სხვათაგან მიკვლევამდე სული ბოროტი,
თავის ბნელ საქმეს მღელვარებით თვითონვე ამხელს.
ო, რა ზიზღსა მგვრის, როცა ლამობს ბოროტის მქნელი,
თვის ნაბოროტალს სათნოების მისცეს იერი.

ანტიგონე

ბარემ უბრძანე მომაკვდინონ... სხვა რაღა გნებავს?

კრეონი

სხვა არაფერი. მოვიოხებ გულს მხოლოდ ამით.

ანტიგონე

მაშ რაღას უცდი? შენს ნათქვამში სიტყვაც არ არის,
მოსაწონს ჰგავდეს... ვერც სხვა ჰპოვებს ამას ვერასდროს.
აგრეც არ მოგწონს, მეფევ, ჩემი ნამოქმედარიც.
თუმც საქმე უფრო სასახელო, ვიდრე საკუთარ
ძმის დამარხვაა, მე ამ ცის ქვეშ არ მეგულება.
რომ მართალი ვარ, აქ ესენიც გეტყოდნენ ალბათ,
რომ შიშით ენა არ დაბმოდათ, მხოლოდ მტარვალეებს
ძალუდით ისა თქვან და აკეთონ, რაც თვითონ ნებავთ.

კრეონი

კადმოსელთ შორის აგრე მხოლოდ შენ ფიქრობ ერთი.

ანტიგონე

აგრეც ფიქრობენ ეს მოხუცნიც და შიშით სდუმან.

კრეონი

ვაი სირცხვილო, ხედავ? არვინ არ გემოწმება.

ანტიგონე

ძმას პატივი სცე, სასირცხვილო არ არის ვგონებ.

კრეონი

მაგრამ ხომ ისიც, მან რომ მოჰკლა, ძმა იყო შენი?

ანტიგონე

დიახ, ძმა იყო, ჩემს მშობელთა შთამომავალი.

კრეონი

პატივისცემით უღირსისა ღირსეულს ამცრობ.

ანტიგონე

მიცვალებულის სული ამას არ დაგიმოწმებს.

კრეონი

კეთილს და ბოროტს ხომ თანაბრად არ მიეგება!

ანტიგონე

განა უჯიშო მონა ვინმე - მე ძმა დავკარგე.

კრეონი

ეს მშობელ ქალაქს გვიოხრებდა, მან კი დაგვიხსნა.

ანტიგონე

მაგრამ ჰადესის კანონის წინ ერთია ყველა.

კრეონი

როგორ თუ ერთი, სათნოს ბილწი ვინ გაუტოლა?

ანტიგონე

ჯერ არვინ უწყის, რა ითვლება იქ სათნოებად.

კრეონი

სიკვდილის მერმე ვერ იქცევა მოყვასად მტერი.

ანტიგონე

მე მისთვის გავჩნდი, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს.

კრეონი

მაშ ჩადი ქვესკნელს, მკვდრებს ჰადესში ესიყვარულე,
სანამ ცოცხალ ვარ, ვერ დავისვამ დიაცს მბრძანებლად.

ქორო

აი ისმენეც, სასახლის ბჭიდან
მოდის საყვარელ დაზე მგლოვარი.
იმის ვარდისფრად ალუწილ სახეს
ურვა-კაეშნის ღრუბელი ჰფარავს.
ღაწვნი სველი აქვს ცრემლის წვიმიტა.
(შემოდი ისმენე)

კრეონი (ისმენეს)

ჩემს სახლში ზაკვით შემომძვრალო იქედნე კრულო!
სისხლის გამშრობო! იმთავითვე რად ვერ შევიცან,
რომ ჩემთვის გზრდიდით ორ დამლუპველ უბედურებას.
გატყდი, შენც იმის დამარხვაში ხომ გიდევს წილი...
თუ შემომფიცავ, რომ ამ საქმის არა იგი რა...

ისმენე

დამნაშავე ვარ, ანტიგონეც თუ აღიარებს.
ჩვენ ორივენი ერთნაირად ვართ ბრალეულნი.

ანტიგონე

ოჰ, არა, სტყუის, სიცრუეა, მას ბრალი არ აქვს...
შენ არ ისურვე შემწევნოდი, მეც მოგიშორე.

ისმენე

რომ გხედავ, როგორ იტანჯები, საბრალო დაო,
მზადა ვარ შენთან განსაცდელის ზღვა გადავცურო.

ანტიგონე

ეს როგორ მოხდა, დაე ჰკითხეთ ჰადესის ღმერთებს...
ცარიელ სიტყვით სიყვარული არ დამტკიცდება.

ისმენე

უღირსად ნუ მთვლი შენთან მოვკვდე და მძის წინაშეც
პირნათლად ვიყო...

ანტიგონე

თავს ტყუილად ცილს რატომ სწამებ?
შენ არ მოკვდები, საკმაოა აქ ერთი მსხვეპრლიც.

ისმენე

მერმე, ძვირფასო, რამ მაცოცხლოს უშენოდ, მარტო...

ანტიგონე

ეგ კრეონს ჰკითხე, შენ ზრუნავდი მის საამებლად.

ისმენე

აგრე მსუსხავად რად დამცინი...

ანტიგონე

შენ? სულაც არა.
სიმწრით ვიცინი.

ისმენე

თქვი, რა ძალმიძს, რით გამოგიხსნა?

ანტიგონე

შენ შენი თავი გამოიხსენ, არ შემშურდება.

ისმენე

ნუთუ მეც შენთან არ ვიქნები... ვაი ჩემს თავსა!

ანტიგონე

შენ სააქაო აირჩიე, მე კი სულეთი.

ისმენე

რასაც ვფიქრობდი, სიწრფოებით გითხარი, დაო.

ანტიგონე

შენ სხვას ამბობდი, მე სხვას...

ისმენე

მაგრამ ერთი გვაქვს ბრალი.

ანტიგონე

ნუ გეშინია, შენ იცოცხლებ, მე კი, მე მოვკვდი
დიდი ხანია, ისლა ძალმიძს, მკვდრებს ვემასხურო.

კრეონი

ამათ შეხედეთ, ერთი ჩვენს წინ შეირყა, ვგონებ
ხოლო მეორე, გიჟი იყო დაბადებიდან.

ისმენე

ნუ გიკვირს, მეფევე, მოკვდავს სიბრძნე თანდაყოლილი
ცუდბედობისას სტოვებს ხოლმე...

კრეონი

დიახ, როგორც შენ,
რადგან ბოროტმა მოგაქცია ბოროტეულად.

ისმენე

უმისოდ მარტო რამ მაცოცხლოს...

კრეონი

უკვე მარტო ხარ, მასზე აღარც ღირს ლაპარაკი... .

ისმენე

მაშ შენი ვაჟის

საცოლეს მოჰკლავ?

კრეონი

სხვაც ბევრია მიწა სათესი.

ისმენე

სხვას, მისთვის ეგრე შესაფერისს თუ ვერსად ჰპოვებ?

კრეონი

არა, უღირს ქალს ჩემს ვაჟიშვილს ვერ შევრთავ ცოლად.

ანტიგონე

ოჰ, როგორ გამცრობს მამაშენი, ძვირფასო ჰემონ!

კრეონი

შენცა და შენი ქორწინებაც ზიზღსა მგვრის მხოლოდ.

ისმენე

არა, არ მჯერა, შვილს საცოლეს ვინ დაუღუპავს?..

კრეონი

ამ ქორწინებას სამუდამოდ ჩაშლის ჰადესი.

ქორო

მაშ მისი დასჯა საბოლოოდ გადაწყდა, მეფევ?

კრეონი

ჩემს და თქვენს მიერ. ჰე, მსახურნო, აქ რაღას დგახართ?

ეხლავ წაიყვან და ქალთათვის განკუთვნილ სენაკს

გამოამწყვდიდეთ საიმედოდ: კარგად უცქირეთ...

თორემ გაქცევას ესწრაფვიან უმამაცესნიც,

რა წამს ჰადესის შეიგრძნობენ მოახლოებას.

ქორო

სტროფი ა

ნეტარ არიან, ვინც უტანჯველად

განლიეს ესე წუთისოფელი...

თორემ თუ ვინმეს განუწყრენ ღმერთნი

და შეურყიეს ბედკეთილობა,

არ მოეშვება მის სახლს ვაება

მოდგმიდან მოდგმის ამოწყვეტამდე.

ასე თრაკიის მძვნივარ ქართაგან

ზღვის კიდიტ-კიდე მიმოგლეჯისას,

უკან ფსკერიდან ამოაქვს ტალღებს

შავ-ბნელი შლამი, ვითარ წყვდიადი...

და გუგუნებენ კლდენი ციცაბნი

მოხეტეებისას ბობოქარ წყალთა.

ანტისტროფი ა

ვხედავ, ზედიზედ ლაზდაკიდების
სახლს თავს ატყდება რისხვა საზარი,
და ვერ აიხსნა ძველ ცოდვათაგან
შთამომავლობამ აწ გარდასულნი...
ჩანს, რომელიდაც ღმერთი პირქუში
ღუპავს და არ ჩანს არსით საშველი.
დღესაც ძლივს მოწყდა რიჟრაჟის სხივი
უკანასკნელ ნერგს ოიდიპოსის,
რომ სისხლისფერმა ქვიშამ ქვესკნელის,
ღმერთებისაგან დამრულმა, იგი,
უნდა წალეკოს სამარადისოდ.
აპოზს ავბედიტი შეუპოვრობა
და შფოთვა სულის გზააბნეულის.

სტროფი ბ

ზევსო, ვერ განდრეკს შენს მეუფებას, -
ვარც აღზევება ზვიად მოკვდავთა,
ვერც ძილი ყოვლის მომდუნებელი,
ვერც ჟამთა სრბოლა დაუსრულებლივ.
მკვიდრობ ოლიმპოს ნათელ სავანეს,
უკუნისამდე უბერებელი,
ხოლო მიწაზე ერთი კანონი

იყო, არის და იქნება მარად, -
რომ უდრტვინველად მოკვდავთ სიცოცხლეს
არ გაუვლია და ვერც გაივლის.

ანტისტროფი ბ

იმედი ძნელად მისანდობელი
ერთს ესახება თუმც ნეტარებად
ბევრისთვის არის მხოლოდ ცდუნება
მარტოდენ ნატვრა მიუწვდომელის...
ზოგმა არ უწყის საითკენ მიდის
ვიდრე ბრმად ცეცხლში არ შეაბიჯებს.
ბრძენი გვასწავლის, ვისი გონებაც
ღმერთს განუწირავს დასაღუპავად.
სიკეთედ უჩანს მას ბოროტება
და სულ მცირე ხანს თუ იზიჟიმებს.

კორიფე

აგერ ჰერმონიც, შენს შვილთა შორის
ძე უმრწემესი, მოდის მწუხარი, -
დასატირებლად საცოლის ხვედრის
და ქორწინების აწ დამარხულის.

კრეონი

მისნებზე უმაღლესი შვილის გუმანს ამოვიკითხავ
აქ მოდი, შვილო, თქვი, შენს მამას ხომ არ შემოსწყერ,
რომ შენს საცოლეს დავსდე მსჯავრი უცილობელი?

ეს ხომ არ მოშლის ჩვენს უტკბილეს მამა-შვილობას?

ჰემონი

ოჰ, არა, მამა, შენი სიბრძნის მოიმედე ვარ,
შენს რჩევას მივდე, მანათობელ სიკეთის ლამპრად.
არ არის ჩემთვის ქორწინება არავითარი,
უფრო ძვირფასი შენს გონივრულ მეუფებაზე.

კრეონი

აი ეგ მომწონს, ჩემო შვილო, გულს შთაბეჭდე -
მამის ნების წინ უნდა დასთმოს შვილმა ყოველი.
იმიტომ ვნატრობთ, შინ გამგონი შვილები გვყავდნენ,
ავის და კარგის გამომრჩენი, რომ მამებივით
მტერს სამტრო უზღონ და მოყვარეს დახვდნენ მოყვრულად.
ხოლო იმ მამებს, ვინც უმაქნის შვილებსა ზრდიან,
ერთიღა ეთქმისთ, რომ წარმოშვეს შთამომავალნი
თავის წუხილად და მოსისხლე მტრის გასახარად.
რალაც წამიერ გატაცებას, დიაცის სურვილს,
არ მიუტანო მსხვერპლად შენი გონიერება.
დაიმახსოვრე, თუ უღირს ქალს დაისვამ ცოლად,
გამოცივდება სახლი შენი უსიყვარულოდ.
ავ ცოლზე დიდი ბოროტება არაფერია,
და შენც იმ ქალსა, ვით საძულველს განეშორები.
დაე ქვესკნელი საქორწინო სარეცლად ჰქონდეს,
რადგან აგეთი ამდენ ხალხში ეგ არის მხოლოდ
და ურჩობისთვის ჯეროვანიც დაედო მსჯავრი,
ვერ გავტებ სიტყვას, თქმულს ერთხელვე ამ ხალხის წინა.

იგი მოკვდება... თვით მფარველი ნათესაობის,
ზევსიც ვერ იხსნის. მოყვასთ შორის შფოთს თუ ვერ აღვკვეთ, -
სხვა რალს იზამს, თავს აიშვებს სამეფო მთელი.
ვინც მიუდგომლად სწორს სამართალს განუჩენს მოყვასს,
ქვეყნის საქმეშიც პირნათელი იქნება მარად.
მაგრამ კანონებს ვინც გათელავს ამპარტავნებით,
ანდა ეცდება მოაქციოს თავის ნებისად
ქვეყნის მეუფე, ჩემგან ქებას ვერ ეღირსება.
მის ყოველ სიტყვას - ვინც ხელმწიფედ თვითონ სცნო ხალხმა
ემონოთ უნდა მართებულს თუ უმართებულს.
იგი, რომელიც მეფის ნებას მორჩილებს მტკიცედ,
მწამს რომ იქნება მტკიცე თავის მეფობის დროსაც.
მტრის მოსევისას ქვეყნის კედლად აღიმართება,
ერთგულ ქომაგად მეგრძოლებთან თანამდგომელი.
შფოთიანობა, - აი სნება უსაზარლესი,
იგი ქალაქებს ანადგურებს აღმრევი ხალხთა,
არღვევს ოჯახებს, ანცალკევებს მხარდამხარ მეგრძოლთ
და უკუაქცევს. მორჩილება, ჰა, ერთადერთი
ხსნა და იმედი, ხალხის, ქვეყნის განმტკიცებელი
ამიტომ გვმართებს ადათ-წესნი დავიცვათ წმინდად
და არ დაუშვათ დამარცხება დედრისგან მამრის.
თუ მარცხი გველის, დე დაგვამხოს მართლა ვაჟკაცმა,
ოღონდ არ გვნახონ დიაცისგან დამარცხებული.

ქორო

ჟამგადასულნი თუ ჯერ გონსაც არ გადავსულვართ,
რასაც შენ ბრძანებ, გონივრულად გვიჩანს მეფეო.

ჰემონი

მისმინე მამავ, მოკვდავთ სიბრძნეს გვწყალობენ ღმერთნი,
 რაც ამქვეყნიურს მადლს ყოველსა აღმატების.
 არც კი იფიქრო გედავები, არც იმას გკადრებ.
 რომ შენი სიტყვა უმართლოა, მაგრამ შენს გარდა,
 ხომ შესაძლოა, იყვნენ სხვებიც, სწორად განმსჯელნი.
 და, რა თქმა უნდა, მე შევიტყობ შენზე უადრეს, -
 თუ ვინ რას ფიქრობს, როგორ მსჯელობს, გაქებს თუ გლანძღავს.
 შიშის ზარსა სცემს უბრალო ხალხს შენს თვალთა მზერაც,
 რისთვისაც შენს წინ ვერრა უთქვამთ, თუ არ საამო.
 მე კი ჩრდილში ვარ და იქიდან თვალნათლივ ვხედავ,
 დღეს თებე რარიგ შეადრწუნა ამ ქალის ხვედრმა.
 ყველაზე უფრო მზარავია ეგზომ უცოდველ
 ქმედობისათვის დაილუპო ესდენ უღირსად.
 ღვიძლი ძმა ომში დაღუპული, მაღლთა და ფრინველთ,
 რომ არ დაუგდო საჯიჯგნელად, მან განა ამით
 ოქროს გვირგვინი და ხოტბა არ დაიმსახურა?!
 ასეთი არის ყრუ ჩურჩული და მითქმა-მოთქმა.
 ჩემთვის კი უფრო სანეტარო და სასურველი
 არა არის რა, ვიდრე შენი ბედკეთილობა.
 შვილთათვის მზეობს ღირსეული მამის დიდება,
 ხოლო მამისთვის ძეთა მისთა აღმატებანი.
 კარგად დაფიქრდი, თავს ჯიუტად ნუ დაირწმუნებ,
 რომ ბჭობა შენი, სიტყვა მხოლოდ შენს მიერ თქმული
 არის მართალი, სხვათა აზრი კი არაფერი.
 ვისაც ღრმად სჯერა, რომ ბრძენია იგი მართოდენ,
 სხვათა უმეტეს ნიჭით სავსე და ოქროპირი,

ბოლოს შეიცნობს, რომ ყოფილა არარა მხოლოდ.
 აროდეს მოკვდავს, რაგინდ ბრძენიც არ იყოს იგი,
 არ დაეძრახვის კვლავ ისწავლოს სიბრძნე სხვათაგან.
 თვითონაც უწყი, რტოთა თვისთა გადასარჩენად,
 ზამთრის გრიგალში ხენი მიწას განერთხმებთან,
 ხოლო უდრეკნი ითხრებიან ძირ-ფესვიანად.
 ზღვაში მენავეც, დაფხრეწამდე დაჭიმულ აფრას
 თუ დროზე დაბლა არ დაუშვებს ჟამსა ქარიშხლის,
 გადუბრუნდება პირქვე ნავი და დაინთქმება.
 მაშ დაცხრი, მეფევ, და შეცვალე ეს განაჩენი,
 თუ მე ჯერ ყმაწვილს ჭკუის რამე დამეჯერება.
 უმჯობესია თვითონ ვიყოთ ბუნებით ბრძენნი
 და თუ არა ვართ, თუ ჩვენს მიმართ ბუნწობს განგება,
 გვმართებს მივდიოთ გონიერთა გონივრულ რჩევას.

ქორო

მეფევ, თქვენ ორნივ კარგად ამბობთ და რამდენადაც
 ეს ბრძნულად მსჯელობს, იმდენადვე შენც შეისმინე.

კრეონი

ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ ხელმწიფეს ესდენ უმწიფარ
 ყმაწვილისაგან ეკადრება ჭკუის სწავლება?

ჰემონი

თუმც ჭაბუკი ვარ, უსამართლოს არაფერს გირჩევ.
 აქ ფასი დავდოთ არა ასაკს, არამედ საქმეს.

კრეონი

თქვი, რა საქმეა მეფის ურჩთა გამოსარჩლება?

ჰემონი

მე უკეთურის შეწყალება არ მითხოვია.

კრეონი

თუ მისი სული შეუპყრია უკეთურებას?

ჰემონი

ეს ხალხსა ჰკითხე, სხვას ამბობენ თებეს მცხოვრებნი.

კრეონი

როგორ, მე, მეფემ, ხალხის სიტყვას მივდიო განა!

ჰემონი

აღბათ ვერც ამჩნევ, რა უმწეო ბავშვივით მსჯელობ.

კრეონი

მაშ სხვათა ჭკუით უნდა ვმართო სამეფო ჩემი?

ჰემონი

იქ, სადაც მხოლოდ ერთი მეფობს, არც სამეფოა.

კრეონი

განა მის მეფეს არ ეკუთვნის სამეფო მთელი?

ჰემონი

შენ ერთი მარტო უდაბნოში იმეფებ ბრძნულად.

კრეონი

ჰო, რა თქმა უნდა, დედაკაცზე ზრუნავს ჭაბუკი.

ჰემონი

ღიახ, თუ შენ ხარ დედაკაცი, მე შენზე ვზრუნავ.

კრეონი

ო, არამზადავ! ეს რა მკადრე შენს შემქმნელ მამას?

ჰემონი

არრას გკადრებდი, მაგრამ როცა სამართლას ხელჰყოფ...

კრეონი

იმით ხომ არა, რომ ჩემს მეფურ უფლებებს ვიცავ?

ჰემონი

ამნაირ დაცვით თუ ღმერთების კანონებს ჰქელავ.

კრეონი

უღირსო მონავ, დედაკაცის ფეხქვეშ განრხთმულო!

ჰემონი

მაგრამ ვერ იტყვი, რომ სასირცხო საქმისთვის ვიღწვი.

კრეონი

მაინც ყოველი შენი სიტყვა მასზეა მხოლოდ.

ჰემონი

არა, შენზედაც, ჩემზეც, თებეს მფარველ ღმერთებზეც.

კრეონი

კმარა, იმ ქალის ცოცხლად შერთვას ვერ ეღირსები.

ჰემონი

მოკვლას უპირებ? მაგრამ იმ ქალს სხვაც თან მიჰყვება.

კრეონი

არ ხედავთ, ხალხნო, მემუქრება კიდეც თავზედი!

ჰემონი

თუ უსამართლო მსჯავრის გმობა მუქარად ითქმის...

კრეონი

მაგ შენს სულელურ აბდა-უბდას დაგისვამ ძვირად.

ჰემონი

ეჰ, ჩემი მამა რომ არ იყო, გიჟს გიწოდებდი.

კრეონი

მართლა? კეთილი. აი ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს, მძიმე იქნება საზღაური ჩემი გინების.

ჰეი, მსახურნო! აქ მოიყვით გველი წყეული და საქმროს თვალწინ მოაკვდინეთ.

ჰემონი

არა, ნუ ფიქრობ, ამას დავესწრო. არ მოკვდება იგი ჩემს თვალწინ. აჰა, მივდივარ. ველარ მნახავ აწ ვერასოდეს. სხვები დაისწარ მოწმედ შენი დამთხვეულობის.

ქორო

ხედავ, მეფეო, როგორ გარბის განცეცხლებული? აგეთ ასაკში საშიშია სასოწარკვეთა.

კრეონი

გზა ხსნილი ჰქონდეს... იმ ქალების ბედს ვერვინ შეცვლის.

ქორო

ნუთუ ორთავეს მოკვდინება ბრძანე, მეფეო!

კრეონი

არა იმ ერთსა ბრალი არ აქვს, შენ მართალი ხარ.

ქორო

მაგრამ მეორეს, რა სიკვდილით უპირებ დასჯას?

კრეონი

ვიწრო ბილიკით მიიყვანენ ადგილს უდაბურს

და ცოცხლეულად ჩააგდებენ აკლდამას ბნელსა.
საკვებსაც მცირეს დაუდებენ, რომ მკრეხელობა
არ გამოვიდეს, რითაც ცოდვას ავაცდენ თებეს.
დაე იქ ჰადესს შეევედროს, ვინც ღმერთებს შორის
სხვაზე მეტად სწამს, მან დაიხსნას დალუპვისაგან
და თუ არ იხსნის, მაშინ მაინც ხომ დარწმუნდება,
რომ ამაოა სასოებდე ქვესკნელის უფალს.

ქორო

სტროფი ა

ო, ეროს, ღმერთო ომსა შიგან ძლევა მოსილო!
ო, ეროს, ღმერთო, ყოველ არსთა დამამხოველო!
ვინც ღამეს ათევ ნაზ დაწვებზე ტურფა ქალწულის
ზღვას გადასცურავ და შეაღწევ მხეცთა სამყოფელს...
შენ ვერ გაგექცა ჯერ ვერავინ ვერც უკვდავთაგან
და ვერც დღემოკლე კაცთა მოდგმიდან...
ვისაც შეიპყრობ გონს მიხდი ყველას.

ანტისტროფი ა

შენ ის ღმერთი ხარ, ვინც მრავალგზის გულნი მართალნი,
ბოროტისაკენ მიაქციე კაცთ დამღუპველად.
ნათესავთ შორის ჩამოაგდე დღეს შუღლი ესე,
და მაინც სასძლოს წამწამებს ქვეშ კრთის ცეცხლი წმინდა.
რომ ეზიარა ნება-სურვილს უზენაესის,
კანონს ღმერთ-ქალის... ყოვლისშემძლე აფროდიტესი.

კორიფე

ეჰ, როგორ შევძლო მოთმინებით თავშეკავება,
რომ თვალთა ჩემთა არ გადმოსკდეს ცრემლი მდუღარი!
აჰა, იწყება აღსრულება გარდაუვალის...
აჰა, პირიმზე ანტიგონე მიჰყავთ პყრობილი
საყოველთაო, სამარადო განსასვენებელს.

ანტიგონე

თებეს მცხოვრებნო, ჰე, მშვიდობით...
მივყვები ჩემს გზას უკანასკნელს...
უკანასკნელად ვუცქერ ზეცას,
აქ ვერღა გნახავთ, რადგან ჰადესს
მივყავარ ყოვლის დამძინებელს,
ცოცხლად ნაპირზე აქერონის
ვისაც ჰიმენე არ მსმენია,
შემირთავს ცოლად აქერონი.

ქორო

მაგრამ სულეთის ბნელ სავანეს
მიხვალ დიდების შარავანდით,
არც უკურნებელ სენით ძლეულ
არც განზასრული მახვილითა...
შენ პირველი ხარ მოკვდავთაგან,
ვინც თავის ფეხით შეხვალ ჰადესს.

ანტიგონე

მსმენია, როგორ დაღუპულა

სიპილოს მწვერვალს ფრიგიელი,
სტუმარი იგი ავბედითი
ასული თვითონ ტანტალესი...
ამბობენ, მძლავრად მოჭდობია
ირგვლივ სალი კლდე სუროსავით
და ასე პერობილს დღით თუ ღამით
აწვიმს და ათოვს უსვენებლივ.
თურმე იმ კლდეზე მის თვალთაგან
ცრემლია წყაროდ მომჩქეფარი...
აგრეც გამწირა მეც განგებამ.

ქორო

მაგრამ ღმერთ-ქალი იყო იგი,
ასული ღმერთთა, ჩვენ კი ვინ ვართ?
მოკვდავნი, მოკვდავთ ნაშიერნი...
მიტომ გადიდებთ ჰადესის მგზავრს,
სიცოცხლითაც და სიკვდილითაც
მაღალ ღმერთებს რომ დაედარე.

ანტიგონე

დამცინით? აბა რად დამცინით,
ჯერ კიდევ სულდგმულს და საჩინოს...
ჰოი, სამშობლოს დიდო ღმერთო!
ჰოი, ქალაქო, ჰოი, თებეს
სახელოვანო მამაკაცნო!
ო, დირკეს წყაროვ, თებეს ჭალავ,
ეტლთა განთქმულო ასპარეზო!

დღეს მოპასუხედ გიხმობთ ყველას;
მარქვით, რომელი წეს-ადათით,
უზარზვიმოდ, დაუტირლად,
უნდა ჩავიდე ბნელ სამარეს?
ვაი, ბედკრულო თავო ჩემო!
არც ცოცხლებში ვარ, არც მკვდრებს შორის,
საზღვარზე სულეთ-სამზეოსი.

ქორო

შენ გასაოცარ გულოვნებით
ეკვეთე დიკეს მეუფებას
და ზედ შეემსხვერ, შვილო ჩემო
სჩანს, მამის ცოდვა მოგდევს წყევლად.

ანტიგონე

ო, ნუ მაგონებთ ჩემს დიდ ტკივილს,
მშობელთა მზარავ შეცოდებას,
ვაებას მთელი ჩვენი გვარის,
საქვეყნოდ განთქმულ ლაზდაკიდთა.
ო, ბედკრულ დედის საქორწინო
საწოლო ცოდვით აღსავსეო,
სად შვილთან დედის შეუღლებამ
წარმომშვა ეგზომ ავბედითი...
მკვდართა სავანეს მივალ ეხლა,
უქორწინებლად, ღვთივ წყეული.
ო, ძმაო ჩემო უბედურო,
უხანოდ სულეთს გარდასულო,

მკვდარმა ცოცხალი წარმიტაცე.

ქორო

მკვდართათვის წესის შესრულება საქმეა სათნო,
მაგრამ ურჩობა უზენაესთ ბრძანებისადმი
არ შეიძლება, ამით ხელყოფ თვით უზენაესს...
ეჰ, შენ დაგლუპა შენივე სულის შეუპოვრობამ.

ანტიგონე

ჩემს წილხვდომილ გზაზე მივდივარ,
მოთქმა ზარით რომ არ მომდევნ
მეგობარნი, არც ნათესავნი...
ოჰ, ვერასდროს ველარ ვიხილავ,
სულეთიდან დღის თვალს ოქროვანს,
ჩემს მწარე ხვედრს არვინ დასტირებს,
ოხვრაც არვის არ აღმოხდება.

კრეონი

ნუთუ არ იცით, თუ მსჯავრდებულს მიეცით ნება
არ დაასრულებს სიკვდილის წინ გმინვა-გოდებას.
აბა, აკლდამას თაღოვანს შეაგდეთ ეხლავ.
დასტოვეთ მარტო, შესაფერად ჩემი ბრძანების.
უფლებას ვაძლევ, გინდ იცოცხლოს სანამდეც სურდეს,
გინდ წამსვე მოკვდეს... მის წინაშე ჩვენ უბრალო ვართ.
ერთი ცხადია, საამქვეყნო არღაა იგი.

ანტიგონე

ჰოი, აკლდამავ, განკუთვნილო ჩემს სანთიობოდ!
უფსკრულო, სულთა საპყრობილევ ბნელთაღოვანო!..
მანდ ბევრნი მყვანან ჩემიანნი, ვინც პერსეფონემ
უდროოდ მკვდარნი მიითვალა, რომელთა შორის
შევალ ყველაზე ავბედითი უკანასკნელად,
თუმც მოირასგან ჯერ სიცოცხლე არ მომსწრაფვია.
ერთილა დამრჩა სასოებად, რომ სიყვარულით
მიმიღებს მამა, რომ ვიქნები მე სასურველი
შენთვისაც, დედავ, და შენთვისაც, ძვირფასო ძმაო...
მიცვალებულნი ჩემი ხელით განმიბანიხართ,
მერმე შეგმოსეთ და გაპკურეთ განსაწმენდელი...
და აი, შენთვის როგორ მსჯიან, ოჰ, პოლინიკევ!
თუმც ბრძენთა აზრით, მკვდარზე ზრუნვა საქმეა სათნო
რომ ვყოფილიყავ შენი დედა, ან ცოლი შენი,
ველზე მენახე დაგდებული ყვავ-ყორნის კერძად,
თებეს კანონთა წინააღმდეგ არ დაგმარხავდი.
მე ხომ შემეძლო სხვას შევრთვოდი და წარმომეშვა
მე ახალ ქმრისგან... მაგრამ ეხლა, როცა ჰადესის
უკუნ სიბნელეს მიეფარნენ მშობელნი ჩემნი,
ჩემთვის ღვიძლი ძმა აღარასდროს წარმოიშობის..
მიტომაც საღვთო წესისამებრ დაგმარხე, ძმაო,
მაგრამ კრეონი ამას მითვლის დიდ შეცოდებად
და ჰა, პყრობილი დასასჯელად უკვე მივყავართ,
არმცოდნე ქმრისა, არც დედობის, უქორწინებლად,
ულხინებელი, უშვილ—ძიროდ გადვიდე უნდა.
ო, ეხლა რარივ საბრალო ვარ, რა უნუგეშო...

ცოცხალი მკვდართა ყრუ სამყოფელს მივემართები. ო
 განა რომელი ღმერთის კანონს გადავედ ურჩი,
 ან და რომელ ღმერთს სასოებით აღვუპყრო თვალი
 და ვთხოვო დამხსნას ამ განსაცდელს საბედისწეროს,
 როცა ღვთის გმობად ჩამეთვალა ღვთისმოსავობა?!
 ჩემს აგრე დასჯას მართებულად თუ სცნობენ ღმერთნი,
 შთამაგონებენ, რომ შევცოდე, მეც უდრტვინველად,
 მოვკვდები, მაგრამ თუ სცდებიან უზენაესნი,
 დე ამგვარივე თავს დაატყდეთ მათ სატანჯველი.

ქორო

ხედავთ მის სულში რა მძვინვარე გრიგალი ბორგავს!..
 ან რა დააცხრობს!... .

კრეონი

მხოლოდ დასჯა. მაშ, რაღას დგახართ?
 უფრთხილდით, ბოლოს არ ინანოთ აქ დაყოვნება!

ანტიგონე

ო, ამ სიტყვებში სიკვდილს ჩემსას რა ახლოს ვხედავ!

კრეონი

ვერ განუგეშებ, რომ ეს მსჯავრი არ შესრულდება. (მიდის)

ანტიგონე

ჰოი ქალაქო სამეფოვ და სახლო ჩემო!
 ჰოი თქვენ, ღმერთნო წინაპართა, სამშობლოს მიწავ!

აი, მივდივარ, მეც მივყვები ჩემს უნებლიედ...
 და სად მივდივარ?.. შემომხედეთ, თეზეს მმართველნო,
 მე, უკანასკნელ შთამომავალს თქვენი მბრძანებლის, -
 რა ტანჯვას ვიტან, ვისგან, რისთვის?.. მხოლოდ იმიტომ,
 რომ სათნოების ვიყავ მსახური. (ანტიგონე გაჰყავთ).

ქორო

სტროფი ა

აგრევე ეწამა ტურფა დანაეც,
 სამზეოს ნაცვლად რომ მისცეს ბინად
 სკიკრი, სპილენძით შემოსალტული,
 სამარეც - ტახტად... ო, შვილო, შვილო.
 თუმც იგი იყო დიდგვაროვანი
 და ჰყავდა შვილი თვით ზევსისაგან,
 მოვლენილისგან ოქროსფერ წვიმად.
 შენს ბედისწერას ვერ გადაგარჩენს
 ვერცა სიმდიდრე, ვერც ომის ღმერთი,
 ვერც ციხე-კოშკი, ძნელ-მისადგომი
 და ვერც ხომალდი წყალ-შეუვალი.

ანტისტროფი ა.

აგრევე დაოკდა გულმზვარობარი,
 ედონელთ მეფე, ძე ტრიანდესი,
 ვინც დიონისემ თავხედობისთვის
 გამოამწყვდია ქვის შავ-ბნელ მღვიმეს.

იქ დაცხრა მისი ველური სული
და შეიგონა, რაოდენ დიდი
უგნურებაა შეურაცხყოფელ
ენის ტარტალით ღმერთს დასცინოდე,
საკურთხევლის ცეცხლს უქრობდე წმინდას
და მეფლეიტე მუზებს უფრთხობდე.

სტროფი ბ

ორი ზღვის შუა, ცისფერ კლდეებთან,
სადაც თრაკიელთ ბოსფორის მხარეს
სალმიდესია, პირქუში მარად,
თვითონ არესმა იხილა თურმე,
იქ ფინეიდებს ცოლმა ფინევსის
რა სისასტიკით დასთხარა თვალნი,
შიგ დანის ნაცვლად მაქო რომ ჩასცა...
და შუქ-ჩამქრალი თვალთა უპენი,
ზე აპყრობილი, მაღალ ღმერთთაგან -
ითხოვდნენ შველას და შურიგებას.

ანტისტროფი ბ

ღონემიხდილნი, სვეუბედურნი,
სტიროდნენ თავის საშინელ ბედზე,
დედის ავბედით ქორწინებაზე...
თუმც დედა იყო უძველეს გვარის,
თვით ერეხთევსის შთამომავალი,

ასული ფეხმარდ ბორეარისა
და მამისეულ გრიგალთა ქროლვამ,
აღზარდა იგი შორეულ მღვიმეს...
ოჰ, შვილო ჩემო, ღმერთების პირმშოს,
მასაც კი მისწვდა რაშზე უმაღლეს
რისხვა ხანდაზმულ მოირებისა.

ტირესი (შემოჰყავს მეგზურ ბიჭუნას)

ჩვენო მეფეო, აქ ერთი გზით მოვსულვართ ორნი,
ამის თვალებით მოვდიოდი, რადგან შუქჩამქრალთ,
ბნელში მეგზურის თვალთა შუქი დაგვაბოგინებს.

კრეონი

მოდი, ტირესი, რას მაუწყებ ახალს, მოხუცო?

ტირესი

გაუწყებ, ოლონდ გულისყური მომაპყარ, მეფე.

კრეონი

თქვი, სიტყვას შენსას გულისყურით ვუსმენდი მუდამ.

ტირესი

მიტომაც ეგრე ღირსეულად მართავდი თებეს.

კრეონი

მეც ვაღიარებ, ბევრ განსაცდელს კეთილად დამხსენ.

ტირესი

ეხლაც უფრთხილდი, დანის წვერზე დგახარ, მეფეო!

კრეონი

მაგას რად ამბობ? შენმა სიტყვამ შემძრა მოხუცო.

ტირესი

როცა გაუწყებ, შენც მიხედები განგების ნიშნებს.
ჩვეულ ადგილზე სამკითხოდ სამისნოს ვიჯექ,
სად ყოველგვარი ფრინველი მყავს... და შემომესმა
ხმა უცნაური, განძვინების კრიახი უცებ.
დავაყურადე და შევიცან ფრთების თქარუნზე
ფრინველნი ფრინველთ გაშმაგებით დაძგერებულნი,
რა დაუნდბოლად ებრძოდნენ და გლეჯდნენ კლანჭებით.
შევშინდი, წამსვე საკურთხევის კოცონს მივმართე
და ჩემს ხელთაგან არ მიიღეს მსხვერპლი ღმერთებმა...
ჯერ საღვთო ცეცხლი ძლივს გაჩაღდა... მერმე ცვარ-ცვარად
ქონი ნაკვერცხლებს ბარკლებიდან რომ დაეღვენთა,
ატყდა შუშხუნი, ატყდა ხრჩოლი და ცეცხლი წმინდა,
განცოფებული სულ შხეფებით იფურთხებოდა...
ბოლოს ნაცარში აღდაკრული ძვლებიღა დარჩა.
ასე მაუწყა ამ ბიჭუნამ, ეს არის ჩემი
გზისმჩვენებელი, როგორც მე ვარ თქვენი მეგზური.
შენმა ბრძანებამ შეაძრწუნა ქალაქი, მეფევ,
ძალღთა და ფრინველთ წაუბილწავთ საკურთხეველნი
ოიდიპოსის იმ უბედურ შვილს რომ ძიძგნიან.
არღა ისმენენ ჩვენს ვედრებას ღმერთნი მფარველნი,

არც მსხვერპლს იღებენ, არც წმინდა ცეცხლს საკურთხეველიდან
ჩიტნიც, სიკეთის მაუწყებლად მოჭიკჭიკენი,
მოკლულის სისხლით გამამდარნი სდუმან ერთთავად.
კარგად დაფიქრდი, შვილო ჩემო... ასწონ-დასწონე.
კაცი მოკვდავი სად ყოფილა შეუცდომელი...
მაგრამ ცდომილი თუ შეიცნობს შეცდომას თვისას
და სათნო ქცევით განაქარწყლებს ამ შეცოდებას
იგი უგნურად არღა ითქმის, არც უბედურად
სისულელა ჯიბრზე დგომა ამპარტავნული.
გიჯობს მეფეო, მკვდარს დაუთმო, დაცემულს ნუ სცემ.
რა გმირობაა ხელმეორედ მკვდრის მოკვდინება?
შენს სასიკეთოდ ვლაპარაკობ... მეც გამახარებ
და შენც გაამებს, კეთილ რჩევას თუ დამიჯერებ.

კრეონი

ყველა ისარი ჩემსკენ მოჰქრის... ჰაი, მოხუცო!
ყველას სამიზნო მე ვარ ეხლა, მისნობის ჟამსაც
ჩემზე მკითხაობთ... ხოლო სისხლით ნათესავთაგან
დიდი ხანია, რაც გაცემულ-განყიდული ვარ.
ჰო და ივაჭრეთ, მოინაგრეთ სინდეთის ოქრო,
ხვეჭეთ ელექტრო სარდესისა, რამდენიც გნებავთ...
დასამარხავად მაინც მის გვამს ვერ გამომძალავთ
თუნდ იგი საღვთო არწივებმაც ისურვონ საზრდოდ
და ნაფლეთებად აიტანონ თვით ზევსის ტახტთან,
არ მეშინიან მე ამნაირ მკრეხელობისაც
და მას დამარხვას ვერ ვაღირსებ... ვიცი რომ მოკვდავთ
არ მიუწვდებათ ხელი უკვდავთ წასაბილწველად...

ფრთხილად ტირესი! ბრძენთა შორის ყოვლად რჩეულნიც
იღუპებიან მხილებულნი, სული ანგარი
რაგინდ მიმზიდველ სათნოებას არ შეაფარონ.

ტირესი

ვაი, ეს რა თქვა... ნუთუ ჩემი აქ არვის გესმით!

კრეონი

რა სიბრძნეს გვეტყვი, რაც საქვეყნოდ არ გაგვეგონოს?

ტირესი

თქვი, რამდენად სჯობს სხვა სიკეთეს გონიერება?

კრეონი

კაცს რამდენადაც უგონობა ხდის უბედურად.

ტირესი

სწორედ ამ სნებას შეუპყრიხარ, მენეოკის-ძევ.

კრეონი

რაც არ უნდა თქვა, უხამსობას ვერ ვკადრებ მისანს.

ტირესი

უკვე შემკადრე, ნათელხილვას სიცრუედ მითვლი.

კრეონი

რადგან ჩაგიქრო ანგარებამ სინათლეც სულის.

ტირესი

განთქმულ არიან ანგარებით ქვეყნის მტარვალნი.

კრეონი

ჩანს დაგავიწყდა, რომ მბრძანებლის წინაშე დგახარ.

ტირესი

მახსოვს, რამდენჯერ ჩემი რჩევით დაიხსენ თებე.

კრეონი

ვიცი, ბრძენი ხარ, თუმც ბოროტი მოყვასთა მიმართ.

ტირესი

რად მაიძულებ ვთქვა, რაც გულში მაქვს დაფარულად?

კრეონი

თქვი, ოღონდ ანგარების არა ეცხოს რა.

ტირესი

კეთილი... მაგრამ თუ სათქმელი შენზეა მხოლოდ?

კრეონი

რაც არ უნდა თქვა, ჩემს განაჩენს არ შევცვლი მაინც.

ტირესი

მამ ჩემი სიტყვა დაიხსომე, მზე სწრაფმავალი
ვერც კი მოასწრებს ცაზე ერთხელ შემობრუნებას,

რომ შენს ღვიძლთაგან ერთს გაიღებ მკვდრების წილ მკვდრადა,
 მის საზღაურად, ვინც ზემოფი ქვესკნელს შთაგზავნე,
 ჰყავ მსახლობელად შავეთისა სული ცოცხალი,
 ხოლო ვინც ქვესკნელს უნდა იყოს, მას უპატიოდ,
 გინებულს, მიწადაუყრელად, სამზეოს სტოვებ.
 ამის უფლება არც შენა გაქვს, არც თვითონ ღმერთებს.
 მომაკვდინებელ მკრეხელობას სჩადიხარ, მეფევ.
 იცოდე, შურის საძიებლად რომ გდარაჯობენ
 ერინიები ქვესკნელის და ზესკნელის ღმერთთა...
 თავს დაგატეხენ იგეთსავე უღებურებას.
 როგორიც თვითონ სხვებს დამართე უმართებულოდ.
 კარგად განსაჯე, ანგარებით ხომ არრას ვამბობ?
 მალე, სულ მალე შენს სასახლეს შეაზანზარებს
 ქალთა და კაცთა ზარ-ზეიმი უსაზარლესი...
 შენზე ყოველმხრივ აღდგებიან სამტროდ ქალაქნი,
 რომელთ შვილებსაც სამღვთო წესის შემსრულებლებად
 შენ მიუსიე ძალღნი, მხეცნი თუ ყვავ-ყორანნი,
 მძორის სიმყრალით რომ წაბილწეს საკურთხეველნი.
 ჰა, დავასრულე რაც მინდოდა მეთქვა, მეფეო;
 შეურაცხყოფით შენგან ესდენ განძვინებულმა,
 ვითარ ჩუბინმა, აუცდენლად გტყორცნე ისარი,
 და მწვავე ტკივილს სად წაუხვალ, თუ გულში დაგჭერ?
 უკვე დრო არის შინ წავიდეთ, გამიძებ, შვილო.
 ამან კი უცად ყმაწვილებზე იყაროს ჯავრი.
 ვუსურვოთ მიხედეს, რომ სჯობია თავშეკავება
 და უფრო მეტად ბრძენი იყოს, ვიდრეა ეხლა.
 (მიდის)

ქორო

მეფევ, მისანმა ეს რა გვითხრა, რა შემზარველი
 დასტოვა სიტყვა გარდაუვალ ავბედობისა!
 ამ ხნის მოვყრილვარ, თმა სიბერით გამთეთრებია
 და ჯერ არ მახსოვს მისი სიტყვა არ ამხდარიყოს.

კრეონი

მეც ეგ მაშფოთებს. თუმც დათმობა ძნელია მეტად,
 უფრო ძნელია შეეჭიდო შენს ბედისწერას.

ქორო

იქნებ ჩვენს თათბირს საჭიროებ მენეოკის-მევ.

კრეონი

როგორ მოვიქცე, თქვენ მირჩიეთ და აღვასრულებ.

ქორო

წარვედ, მეფეო, ტყვეს განულე აკლდამის კარი,
 დამარხე გვამიც უპატიოდ ველს დაგდებული.

კრეონი

მაშ, შენის აზრით, უნდა დავთმო?

ქორო

იჩქარე, მეფევ,
 ცოდვილთ მიმართ არ აყოვნებს რისხვა ღმერთების.

კრეონი

ეჰ, სად მაქვს ღონე, შევეჭიდო გარდუვალობას.
გული არ შვება, მაგრამ მაინც ვცვლი ჩემს ბრძანებას.

ქორო

ამ საქმეს თვითონ გააკეთებ, სხვას არვის ანდო.

კრეონი

კარგი, მივდივარ. ჰე, მსახურნო, ყველა ვინც აქ ხართ
და ვინც არა ხართ, ჩემთან ჩქარა, ჰო, აქეთ, აქეთ!
თან წამოიღეთ წერაქვებიც და გამალეებით
აი, იმ ადგილს მიაშურეთ, აქედან რომ ჩანს.
მე კი, ხელმწიფე, თავის სიტყვის უარყოფელი,
ტყვეს ჩემგან პყრობილს ჩემივ ხელით განვუღებ კარსა.
ცხადზე ცხადია, ყველას გვმართებს თვით სიკვდილამდე
აღვასრულებდეთ მარადიულ კანონებს ღმერთთა.
(მიდის.)

ქორო

სტროფი ა

ო, დიდებაჲ კადმოსიანთ ასულის,
ნაშიერო მძიმედ მგრგვინავ ზევსისა,
ვინც ოდითგან იტალიას მფარველობ
და რომელიც ელევსინელ დემეტრას
ყოვლის შემკრებ ველ-მინდვრებზე მეუფებ...
ჰოი ბახუს, ღმერთო სახელ-მრავალო!

ჰოი ბახუს, თებეს, ბაკქელ ქალწულთა
სახელგანთქმულ დედაქალაქს მცხოვრებო...
სად ისმენეს ნაპირთან აღმოცენდა,
გველეშაპის თესლი იგი ბოროტი.

ანტისტროფი ა

შენ გხედავენ, სადაც ორმწვერვალოვან
მთაზე მნათობს ჩირადდანი გიზგიზა,
კასტალიის ჩუხჩუხებენ ჩანჩქერნი
და ცეკვავენ კორიკელი ნიმფები.
მაგრამ ზოგჯერ სუროთი და ვენახით
გადაბურულ ნისეს ფერდობებიდან,
ღვთაებრივი სიმღერების თანხლებით,
ესტუმრები შენს საყვარელ თებესაც.

სტროფი ბ

შენ ხომ თებეს, სხვა ქალაქთა უმეტეს,
შენ განმეხილ დედასავით პატივს დებ.
ეხლა თებე მძვინვარე სენს მოუცავს...
მაშ დაეშვი მწვერვალიდან პარნასის,
ზღვაც გამოვლე მშფოთვარ-აღქაფებული,
მოვედ თებეს, განმწმენდ-განმკურნებლო.

ანტიტროფი ბ

ჰოი, ღამის ღრეობათა მეუფევ!
მბრძანებლო მოკაშკაშე ვარსკვლავთა!
თვითონ ზევსის ძეო უსაყვარლესო!
მოვედ ჩვენთან ფიადების ამალით.
ვინც მთელ ღამეს ცეკვით და სიმღერებით
გადიდებენ შენ, უფალო იაკვ.

მაცნე (შემოდის)

ისმინეთ, მკვიდრნო კადმოსისა და ამფიონის!
მოკვდავთ ცხოვრებას, ვიდრე იგი არ დასრულდება,
ჩვენგან არ ეთქმის არც აუგი და არც დიდება,
რადგან დღეს ბედი თუ გვამაღლებს, ხვალ იგივე ბედი
თანაბრად ამხოვს ბედნიერსაც და უბედურსაც...
ხოლო წინასწარ გარდაუვალს ვერვინ შეიცნობს.
აი, კრეონიც, ვისი ბედიც იყო საშურველ,
მოსეულ მტრისგან ვინც განწმინდა მიწა კადმოსის
და გვეხელმწიფა ჩვენ უფლებით სწორუპოვარი,
მეფობდა მორჩმით შვილმრავალი, სვებედნიერი...
ასე ერთბაშად დაიღუპა... თუ ნეტარება
წარეღო კაცსა, მას ცოცხალი არ ეწოდების.
თუნდ შენი იყოს მთელი ქვეყნის ავლა-დიდება,
გქონდეს ცხოვრება მოსაჩვენრად დიდხელმწიფური,
ამა ყოველში მე არ მივცემ კვამლის მკრთალ ჩრდილსაც,
სიცოცხლეს შენსას თუ არ აღხენს ბედკეთილობაც.

ქორო

კვლავ ჩვენ მეფესთან რა წუხილის ამბავი მოგაქვს?

მაცნე

სიკვდილის, ხოლო ამ სიკვდილში ცოცხლებს აქვთ ბრალი.

ქორო

მკვლეელი ვინ არის, ან ვინ მოჰკლეს?

მაცნე

ვინ და ჰემონი.

უცხო ხელს როდი განუგმირავს...

ქორო

მაშ მამამ მოჰკლა?

მაცნე

თავი მოიკლა მამის ქცევით განრისხებულმა.

ქორო

ჰოი მისანო, შენი სიტყვა რა სწორად ახდა!

მაცნე

ეს ასე იყო. ხოლო ეხლა სხვა ზრუნვა გვმართებს.

ქორო

აგერ საბრალო ევრიდიკეც, მეუღლე მეფის,

მოემართება შვილის ამბით შემრწუნებული...
თუ ეს არც იცის და შემთხვევით გამოვლო აქეთ.

ვერიდიკე

თებეს მცხოვრებნო, თქვით რა მოხდა, თქვენს ხმაზე მოვედ,
თუმც სასახლიდან გამოსული პალადას ტამრად
მივიჩქაროდი სალოცავად, თქვენ მოგაშურეთ.
როცა კარიბჭის ურდულს ვწევდი, თითქოს ჩემს სმენას
რადაც ხმა მოსწვდა ჩვენი სახლის უბედურების...
შიშმა შემზარა, დავბარბაცდი და აღარ მახსოვს...
მხევალთ მკლავებზე დავესვენე თურმე უგონოდ.
მამცნეთ რა მოხდა, თავს დაგვატყდა რა ავბედობა?
აი, მე გისმენთ, ჩვეული ვარ ჭირს და ვაებას.

მაცნე

ოჰ, გეტყვი, ჩვენო ქალბატონო, რაც თვალთ ვნახე,
ყველაფერს გეტყვი, ან სიმართლე რად დაგიმალო...
ეხლა ნუგეშიც თვალთმაქცობა იქნება მხოლოდ.
თანაც, სიცრუე ბოლოს მაინც ხომ გამოჩნდება...
მეგზურად ვახლდი შენს მეუღლეს, სად ბორცვებს მიღმა,
ჯერ კიდევ ეგდო ტიალ ველზე მტაცებელთაგან
ნაჯიჯგნი გვამი ბედუკუდმართ პოლინიკესი.
ჩვენც შევევედრეთ პლუტონსა და გზისპირის ქალ-ღმერთს
ნაცვლად რისხვისა მოწყალება მოელო ჩვენზე...
მერმე განვბანეთ ნაკურთხი წყლით ნაგლეჯნი ნემტის
და მწვანე რტოთა სარეცელზე განლაგებული
დავწვით, ფერფლზედაც მშობელ მიწის ბორცვი აღმართეთ

და მივაშურეთ ანტიგონეს სახლს საქორწინოს,
სად ქვის ტახტია და ჰადესის საბრძანებელი...
უცებ ჩვენთაგანს ერთს მოესმა რადაც ყრუ გმინვა,
ქალწულის შავბნელ სამყოფიდან აღმომავალი...
ამის საამბოდ კრეონისკენ გაქანდა იგი,
მეფეც აკლდამას მიეახლა და გულდამწველი
მოთქმის გამგონემ შემზარავად ამოიბღვლა:
ოჰ, თავო ჩემო უბედურო, რა ნათლად ვხედავ,
ჩემივ დაღუპვის უბედიტეს გზით მივდივარო...
თითქოს ეს ჩემი ვაჟის ხმას ჰგავს უსაყვარლესის,
გასწით მსახურნო, მსწრაფლ აკლდამას შემოურბინეთ,
ერთგან ხვრელს ჰპოვებთ ჩანაქცევარს, კარგად ჩახედეთ,
ჰემონის ხმაა, თუ ცდუნებით მტანჯავენ ღმერთნი?
ჩვენც ბრძანებაზე მეფის ასე გაოგნებულის,
მეის ხვრელი ვპოვეთ, ჩავაკვირდით აკლდამის ბინდ-ბუნდს
და გავარჩიეთ, დაკიდული სელის წვრილ თოკზე
ქალწულის ტანი ქანაობდა, ხოლო ჰემონი
გულში იკრავდა ქალწულის გვამს, გულამოსკვნილი
რომ დასტიროდა უძვირფასეს საცოლის სიკვდილს,
მამის სიგიჟეს და ავბედით თავის სიყვარულს.
რა ეს იხილა, ადგილს მოსწყდა კრეონი წამსვე,
სამარხს ჩაეშვა და ხმამაღლა შესძახა ჰემონს:
თქვი აქ რა გინდა, რას ჩადიხარ, ჰოი ბედკრულო,
განა რა ელდამ წარიტაცა გონება შენი,
გამოდი, შვილო, შენი მამა გვედრებო.
მამინ ჰემონმა მზარავ მზერით შეხედა მამას,
მერმე უსიტყვოდ, ორლესული იძრო მახვილი,

მაგრამ მოქნევა გაუცუდდა, რადგან აქ მეფემ
 უკან დახევით იხსნა თავი,.. ხოლო ჰემონმა,
 თავის მკერდისკენ მიიბრუნა მახვილი ბასრი
 და მძიმე დარტყმით სანახევროდ გულს შეიმსჭვალა...
 შემდეგ კვლავ ქალწულს შემოჰხვია უღონოდ მკლავნი
 და სულხდომისას, უკანასკნელ სისხლის ჩანჩქერით
 ყირმიზის ფერად შეუღება ღაწვნი ფერმკრთალნი.
 ეხლა იქ გვამი განისვენებს გვამს ჩახვეული,
 ჰადესში რომ სცნეს საიდუმლო ქორწინებისა.
 აი ამბავი, ცხადმოყოფელი, რომ უგნურება
 არის მოკვდავთა შეცოდება უბოროტესი.

ქორო

ეს რაღას ნიშნავს, რად შებრუნდა შინ დედოფალი?
 სიტყვაც არ დაცდა არც წუხილის, არც გაოგნების.

მაცნე

ეგ მეც მაეჭვებს, თანაც ვფიქრობ, რომ დედოფალი
 საქვეყნოდ ტირილს უკადრისობს და განგვერდია.
 ალბათ დარბაზში მოთქვამს ზარსა მხეველებთან ერთად,
 ჯერ ცნობაზეა, ცუდს არაფერს არ დაიმართებს.

ქორო

აბა რა ვიცი, ერთი კია, გულს ჩახვეული
 დარდით დუმილი, გლოვის ზარზე შემზარველია.

მაცნე

ეხლავ გავიგებ, ჩვენს დედოფალს რა ჰქონდა ზრახვად,
 არ დაიმალვის მგზნებარ გულის იდუმალება.
 დროა სასახლეს მივაშუროთ... შენ მართალს ამბობ,
 ყრუ სიჩუმეში არის რაღაც საავბედითო.

ქორო

აგერ თვით მეფეც... მოდის, ნელა გვიახლოვდება...
 მოაქვს თავისი შეცოდების საბუთიც მძიმე...
 თუ შეიძლება ასე ითქვას, მეფეს მკლავებზე...
 გადაწვენილი მოაქვს თავის უბედურება.

კრეონი (შემოდის და შემოაქვს მკლავებზე გადაწვენილი ჰემონი)

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...

ცოდვანო, სულის შემზარველნო...

სიკვდილის ძილით დამნისვლელნო...

შემხედეთ, მკვლეელიც და მოკლულიც,

ერთი მოდგმის ვართ, მამა-შვილნი...

ჰოი სიკერპევ დამღუპველო!

ჰოი შენ, შვილო, ჯერ ყმაწვილო...

უდროოდ მკვდარო სიჭაბუკევ...

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...

თავი მოიკალ? არა შვილო...

შენ მოგკლა ჩემმა უგნურებამ.

ქორო

ვაგლახ, რა გვიან სცან სიმართლე.

კრეონი

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...

ეხლადა ჩავწვდი ჩემს ვაებას...
 ო, თავს დამატყდა რომელიღაც
 ღვთის რისხვა, ყოველთ უმძიმესი,
 და მწუხარების გზით წამმართა.
 ო, ლხენავ ჩემო განფრთხოვილო!
 ო, კაცთა მოდგმის ავბედობავ!

მაცნე

ჩემო ხელმწიფევ, ამ საშინელ უბედურებას
 ზედ დაემატა სხვაც, ახალი, მიხვალ და ნახავ...
 ერთი ხელთა გყავს, მეორე კი შინ გელოდება.

კრეონი

ამის უარესს რასლა ვნახავ?

მაცნე

მეუღლე თქვენი
 გარდაიცვალა. ეს წუთია, რაც გულმა დედის
 კრილობათაგან სისხლდაცლილმა შესწყვიტა ძგერა.

კრეონი

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...

ჰადესის შავო უფსკრულეთო,
 რად მძირავ ეგრე უსასრულოდ...
 მაცნევ ულეველ ვაებათა,

სხვას რასლა მეტყვი უსაზარლეს?!
 ერთხელ მკვდარს კიდევ რითლა მომკლავ?..
 თქვი, ეხლა რა ვქნა, ჩემო შვილო?
 ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...
 სიკვდილი კვალში მოსდევს სიკვდილს...
 შვილს მიჰყვა ცოლიც საყვარელი.

ქორო

აქედანაც ჩანს, თუ გახედავ, გამოაქვთ უკვე.

კრეონი

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...

ვხედავ მეორე ჩემ თავზარსაც...
 წუთის წინ შვილი ხელთ მესვენა,
 ეხლა მეუღლის გვამს შევცქერი...
 ო, დედა-შვილო, უბედურო!

მაცნე

ბასრი მახვილით განგმირულმა საკურთხევლის წინ
 მილულა თვალნი დაბინდულნი, ჯერ მეგარევისს,
 ადრე დაღუპულ ძის სიკვდილის დამტირებელმა...
 მერმე ჰემონზეც ღვარა ცრემლი, ხოლო დასასრულ,
 შენ გწყევლა მეფევ, ეგ არისო შვილების მკვლელი.

კრეონი

ო-ო-ო-ო-ო-ო-ო-...

შიშით მაჟრჟოლებს, რად არავინ

ორლესულ ხანჯლით არ გამგმირავთ?!
ოჰ, ეხლა რარიგ საბრალო ვარ,
წუხილის ელდით დაზაფრული.

მაცნე

შვილთა დაღუპვას სულთმოზრმავეი შენ გაბრალებდა.

კრეონი

მითხარი, თავი რით მოიკლა?

მაცნე

ჰემონის ხვედრის შემტყობელმა, მახვილით გული განიგმირა.

კრეონი

ვაი ჩემ თავსა! მე ვარ მკვლეელი.
ჩემს იქით ბრალი სხვას ვის დავდო?
მე, მე გიმსხვერპლეთ საბრალონო...
სიმართლეს ვამბობ... ჰე, მსახურნო!
აქედან შორეთს გადამკარგეთ...
მე არავინ და არარა ვარ.

კორიფე

თუ ვაებაში სიმართლეა, შენ მართალს ამბობ
ხოლო სულ ტანჯვას სჯობს წამების გზა უმოკლესი.

კრეონი

მოვედ, მეჩვენე ხვედრო ჩემო

ამ ცის ქვეშ ყოველთ უმჯობესო!
შენ, დღეო ჩემი აღსასრულის,
უკანასკნელო მზის ნათებავ...
რომ ვერღა ვნახო კვლავ რიჟრაჟი.

კორიფე

ეგ სხვა საქმეა, ხოლო ეხლა განსვენებულთა
მიხედვა გვმართებს... წარმართავენ მომავალს ღმერთნი.

კრეონი

ერთ ლოცვაშია ნატვრა ჩემი...

კორიფე

ნურას ინატრებ... ამაოა... რადგან მოკვდავნი
ვერ დაახწევენ თავს განკუთვნილ უბედურებას.

კრეონი

შორს გადამკარგეთ მე უგნური...
ჩემს უნებლიედ მოგვალ, შვილო...
და შენც, ძვირფასო ცოლო ჩემო...
რასღა ვუმზირო აწ ბედკრულმა,
თუ მთლად წარმტაცა, რაც მეზადა,
რისხვით მსახვრალმა ბედისწერამ... .

ქორო

სიბრძნე მაღლს ყოველს აღემატების.
ჩვენც მას მივდიოთ, რომ ქედმაღლობით


არ განვარისხოთ ღმერთნი მაღალნი...
 თორემ გულზვიადს დაამხოვს თვისივ
 გულზვიადობა... თუმც სიბერის ჟამს,
 ბევრის განმცდელი გონს მოეგება.

სხვა წიგნები

უილიამ შექსპირი



ფრიდრიხ შილერი



სოფოკლე

